„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 2014 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

1. **შესავალი 3**
2. **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.....4**
3. **შალვა თათუხაშვილის საქმე.....6**
4. **სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები 8**
5. **სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები 10**

   გიგი უგულავას საქმე.....10

   საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სისხლისსამართლებრივი დევნა 13
6. **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 14**

   წინასაარჩევნო გარემო 14

   კენჭისყრის დღე.....17
7. **დისკრიმინაცია.....21**

   დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.....22

   რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაცია.....26

   დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.....27

   თანასწორობის უფლება და საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ".....28

   რელიგიის საკითხთა სახელმწიფო რეგულაცია.....29
8. **მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში 32**

   პატიმართა უფლებები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.....32

   ცვლილებები პატიმრობის კოდექსში.....34

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა წარმოგიდგენთ 2014 წლის პირველი ნახევრის ანგარიშს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ პრობლემებს

ანგარიშში მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით თავდასხმისა და ძალადობის შემთხვევები, ასევე შალვა თათუხაშვილის საქმე; ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები, ასევე, ის დარღვევები და გადაცდომები, რომლებიც გამოვლინდა 2014 წლის ზაფხულის ადგილობრივ არჩევნებზე. ანგარიში შეეხება 2014 წლის პირველ ნახევარში წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც, სავარაუდოდ, პოლიტიკურად არის მოტივირებული. ანგარიშში ასევე გაანალიზებულია მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში და ის ცვლილებები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში შევიდა პატიმრობის კოდექსში.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი უფლებათა დარღვევის ფაქტების მნიშვნელობით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კვლავ ძალიან ბევრი პრობლემა რჩება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. მომავალში საჭიროა მეტი ძალისხმევა და უფრო გააზრებული სისტემური ცვლილებების გატარება იმისთვის, რომ დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა და ყველა ადამიანი დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებების დარღვევისგან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ითვალისწინებს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემას და სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ უფლების ეფექტური სარგებლობა. ამასთანავე, კონსტიტუციით სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, თავად არ ხელყოს ადამიანების პირადი ცხოვრების უფლება და არ დაუშვას ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების მხრიდან ამ უფლების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაიცვან ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და არ დაუშვან ხელისუფლების ორგანოთა თვითნებური ჩარევა[1].

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტურად დასაცავად სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს საკანონმდებლო ბაზის ეფექტური სრულყოფა და მისი, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან, შესაბამისობაში მოყვანა.

"საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" მიერ 2013 წელს წარმოდგენილ ანგარიშებში ასახულია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის არაერთი ფაქტი[2]. თითქმის ყველა მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს რეაგირება არასათანადო იყო და იწვევდა საფუძვლიან ეჭვს გამოძიების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 6 მაისს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომლის თანახმადაც, მათ ფარული წყაროს მეშვეობით მოიპოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული აუდიო- და ვიდეოჩანაწერები[3]. "რუსთავი 2"-ის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოკადრებში ასახულია ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას და გადაცემა "პოზიციის" წამყვან ნინო შუბლაძის სამუშაო ოთახებში მიმდინარე შეხვედრები. აგრეთვე, ეკა კვესიტაძის გადაცემა "განსხვავებულ აქცენტებში" წარმოდგენილ იქნა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას, თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის, ასევე ბიზნესმენების სატელეფონო საუბრების ჩანაწერები[4].

---

[1]Case of Airey v. Irelandhttp://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57420#
[2]http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf
http://gdi.ge/wp-content/uploads/2014/03/ანგარიშის-სრული-ვერსიის-ჩამოტვირთვა.pdf
[3]http://www.youtube.com/watch?v=DxqE1taN_d0
[4]http://www.youtube.com/watch?v=CykQY7r9F04

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოში ხელისუფლების მხრიდან ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა კვლავ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. უკიდურესად შემაშფოთებელია, როდესაც უკანონო მიყურადების და თვალთვალის ობიექტი ხდება ჟურნალისტი – ეს ნიშნავს პირდაპირ და უხეშ ჩარევას მის საქმიანობაში, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად უნდა იყოს დაცული გარე ზემოქმედებისგან. საქართველოს კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ პირზე ფარული მიყურადების ან თვალთვალის განხორციელება დასაშვებია, რაც უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან, სათანადოდ დასაბუთებული და ხორციელდებოდეს შესაბამისი პროცედურების დაცვით. კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო ნორმების დაცვის გარეშე განხორციელებული ფარული მიყურადება კი ქვეყანაში აზარალებს დემოკრატიულ პროცესებს, ადამიანის უფლებების მდგომარეობას და საზოგადოებაში წარმოშობს დაუცველობის განცდას.

შემაშფოთებელია, რომ აღნიშნულ ფაქტებზე სამოქალაქო საზოგადოების გამოხმაურებას მოჰყვა პრემიერ-მინისტრის მოულოდნელი განცხადება, რომლითაც ირაკლი ღარიბაშვილმა არასამთავრობო სექტორის მიერ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით განხორციელებული კამპანია გააკრიტიკა და „ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელ" და „ძირგამომთხრელ" საქმიანობად შეაფასა[5].

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეფექტური ღონისძიებები. მნიშვნელოვანია უკანონო ფარული მოსმენის თითოეული ფაქტის ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება, რათა პასუხისგებაში მიეცნენ და კანონის სრული სიმკაცრით აგონ პასუხი სამართალდამრღვევმა პირებმა. ასევე აუცილებელია, განხორციელდეს ეფექტური პრევენციული ზომები მომავალში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად[6].

[5] http://civil.ge/geo/article.php?id=28136

[6] 2014 წლის 1 აგვისტოს, რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ძალაში შევიდა 2013 წლის ივლისში ინიცირებული ცვლილებები საქართველოს კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", რომლებიც არეგულირებს ფარული მიყურადების და თვალთვალის პროცედურებს.

შალვა თათუხაშვილის საქმე

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) ყოფილი მაღალჩინოსნის შალვა თათუხაშვილის საეჭვო გარემოებებში გარდაცვალების ფაქტი, ასევე ინფორმაცია სიცოცხლეში მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე შ.თათუხაშვილის ოჯახმა არაერთი განცხადება გაავრცელა შ.თათუხაშვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. მიუხედავად გარდაცვლილის ოჯახის და სამოქალაქო საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნისა[7], საქართველოს პარლამენტმა საჭიროდ არ მიიჩნია საგამოძიებო კომისიის შექმნა შ.თათუხაშვილის საქმეში არსებული საეჭვო გარემოებების გამოსაკვლევად.

შ.თათუხაშვილი პირველად 2014 წლის 24 თებერვალს იქნა დაბარებული პროკურატურაში, მოწმის სტატუსით, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით. 25 თებერვალს შ.თათუხაშვილის მამამ, გენერალმა გოგი თათუხაშვილმა, სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა განცხადება[8], რომლის მიხედვითაც, 24 თებერვლის დაკითხვის შემდეგ, რომელიც 10 საათს გაგრძელდა და გამთენიისას დასრულდა, შ.თათუხაშვილი გაიტაცეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა. იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ პროკურატურაში შ.თათუხაშვილი აწამეს და წამლების ზემოქმედების ქვეშ აიძულებდნენ, მიეცა გამოძიებისთვის სასურველი ჩვენება. შ.თათუხაშვილის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაშიც საუბარია შ.თათუხაშვილის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ტერორზე[9]. ამის შემდეგ, დაახლოებით ათი დღის განმავლობაში, შ.თათუხაშვილის ადგილსამყოფელი ოჯახისთვის უცნობი იყო[10].

2014 წლის 24 მარტს გავრცელდა ინფორმაცია შ.თათუხაშვილის გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილის ოჯახმა და მათმა ადვოკატმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნის გარდაცვალება მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას დაუკავშირეს და მის გარდაცვალებაში სამართალდამცავები დაადანაშაულეს. გარდაცვლილის ოჯახის განცხადებით, რომელიც ადვოკატმა ი.ზაქარეიშვილმა გამოაქვეყნა, შ.თათუხაშვილი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ორჯერ გაიტაცეს და მოახდინეს მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური

[7] http://gdi.ge/?p=609

[8] http://newposts.ge/?l=G&id=31962-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98,%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

[9] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29821/

[10] http://pirveliradio.ge/?newsid=21463

ზეწოლა იმ მიზნით, რომ მას გამოძიებისთვის მიეცა ჩვენება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას წინააღმდეგ. ოჯახის განცხადების პარალელურად, შ.თათუხაშვილის ადვოკატმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია შ. თათუხაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები[11], მათ შორის, სავარაუდო დამწვრობის კვალი, რომლებიც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სიცოცხლეში შ.თათუხაშვილი გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. ფოტოების ავთენტურობას ადასტურებს გვამის დათვალიერების ოქმი[12], რომელშიც იგივე დაზიანებებია აღწერილი და რომელსაც ხელს აწერენ პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, გარდაცვლილის ადვოკატი და ოჯახის წევრი.

შ.თათუხაშვილის ოჯახის განცხადებებს მთავარი პროკურატურა გამოეხმაურა. პროკურატურის 24 მარტის განცხადებაში ნათქვამია, რომ 24 თებერვლის დაკითხვის შემდგომ შ.თათუხაშვილი, მისივე თხოვნით, ჩასმული იქნა მოწმეთა დაცვის სპეციალურ პროგრამაში, რაც გულისხმობდა მისი ადგილსამყოფლის საიდუმლოდ შენახვას, მათ შორის, ოჯახის წევრებისთვისაც, თუმცა აღნიშნული ღონისძიება, პროკურატურის განცხადებით, მალევე გაუქმდა. იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ „შალვა თათუხაშვილი დამატებით დაკითხვის მიზნით დაბარებული იქნა ქ.თბილისის პროკურატურაში, რის თაობაზეც შესაბამისი უწყება ჩაბარდა მის ძმას მიხეილ თათუხაშვილს, და 2014 წლის 18 მარტს სათანადო პროცესუალური ნორმების ზედმიწევნით დაცვით მოხდა მისი მოწმედ განმეორებით დაკითხვა. შ.თათუხაშვილი თითოეული დაკითხვისას ნებაყოფლობით აცხადებდა, რომ მას სურდა გამოძიებასთან თანამშრომლობა და რომ მისი გატაცება არ მომხდარა, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი იმყოფებოდა საკუთარ სახლში.“
პროკურატურის მიერ განცხადება გავრცელებულ იქნა ასევე 28 მარტს. განცხადებებში შ.თათუხაშვილის ოჯახის და მისი ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუედ და პროკურატურის დისკრედიტაციის მცდელობად არის შეფასებული. აღნიშნული განცხადებებიდან აშკარად იკვეთება მთავარი პროკურატურის მიკერძოებული დამოკიდებულება მოცემული საქმის მიმართ. კერძოდ, გაუგებარია, რა აძლევს საფუძველს მთავარ პროკურატურას, სრულიად გამორიცხოს და სრული აბსურდი უწოდოს შ.თათუხაშვილის ადვოკატის და მისი ოჯახის წევრების განცხადებებს გვამზე არსებული დაზიანებების და მათი წარმომავლობის თაობაზე, მაშინ როდესაც, როგორც განცხადებაშივეა აღნიშნული, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება დაზიანებების მიყენების გარემოებების, ხანდაზმულობისა და სიკვდილის მიზეზების შესახებ შეუძლებელი იყო ექსპერტიზის

[11] http://newposts.ge/?l=G&id=34974-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
[12] http://www.liberali.ge/ge/liberali/news/118132/

დასრულებამდე. პროკურატურის 28 მარტის განცხადება პრობლემატურია შ.თათუხაშვილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის კუთხითაც.
გარდა ამისა, არსებობს კითხვები აღნიშნული საქმის სხვა გარემოებებთან, მათ შორის, შ.თათუხაშვილის სავარაუდო გატაცების თაობაზე ჩატარებულ მოკვლევასთან, დაკავშირებით, რომელიც, პროკურატურის 24 მარტის განცხადების თანახმად, მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ განახორციელა, და, სავარაუდოდ, მხოლოდ შ.თათუხაშვილის გამოკითხვით დაადგინა გატაცების ფაქტის არარსებობა.
მრავალრიცხოვანი განცხადებებით მთავარმა პროკურატურამ, საქმის ვითარების გარკვევის ნაცვლად, დამატებითი კითხვის ნიშნები გააჩინა შ.თათუხაშვილის საქმესთან მიმართებაში. გაურკვეველია, რა სამართლებრივი საფუძველი გახდა 17-დან 18 მარტის ღამეს შ.თათუხაშვილის ლილოში მდებარე ღამის კლუბში დაკავების და შემდგომ მისი მთავარ პროკურატურაში გადაყვანის მიზეზად, ვინაიდან თავად პროკურატურის განცხადებებით ირკვევა, რომ შ.თათუხაშვილის გაუჩინარების შესახებ ოჯახს სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ მიუმართავს, ასევე, აღნიშნული დროისთვის შ.თათუხაშვილი ამორიცხული იყო მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამიდან, მაშინ როცა მისი პროკურატურაში წარდგენის მიზეზად სწორედ ამ პროგრამაში ჩართვა სახელდება. შ.თათუხაშვილის მიმართ ზეწოლაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ, როგორც პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული დაკითხვის ოქმებით ირკვევა, ღამენათევი და ნასვამ მდგომარეობაში მყოფი შ.თათუხაშვილი ჯერ გამომძიებელმა დაკითხა საათ-ნახევრის განმავლობაში, ხოლო შემდგომ – მთავარი პროკურატურის გენინსპექციამ.

მიუხედავად შ.თათუხაშვილის საქმის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, გამოძიების მიერ პასუხგაუცემელი რჩება კითხვები მასზე სავარაუდოდ განხორციელებული ზეწოლასა და გარდაცვალების მთელ რიგ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ეჭვს აჩენს გამოძიების სრულყოფილებისა და მიუკერძოებლობის კუთხით.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები

საანგარიშო პერიოდში გახშირდა მოქალაქეებზე თავდასხმისა და ძალადობის ფაქტები, რომლებიც, სავარაუდოდ, მსხვერპლთა პოლიტიკურ საქმიანობას ან მათ ოპოზიციურ პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდება. როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მსგავს შემთხვევებთან მიმართებით გატარებული ზომები არაეფექტურია – არ ხდება მომხდარის სათანადო სისხლისსამართლებრივი კვალიფიცირება და ადეკვატური სანქციების გამოყენება დამნაშავეთა მიმართ. აღნიშნული ტენდენცია შემაშფოთებელია როგორც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის,

ასევე სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების თვალსაზრისითაც.
პრობლემატური იყო ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აღნიშულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოთქმული პოზიციები. როგორც „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივისა“ და რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული ერთ-ერთ მსგავსი ხასიათის თავდასხმასთან დაკავშირებით: „ძალადობის პრევენციის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი ფაქტების დროული და ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთათვის ადეკვატური სანქციების დაკისრება. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ დისკურსში ამგვარი ქმედებების ცალსახად და უპირობოდ დაგმობა, რაზეც, პირველ რიგში, ხელისუფლების წარმომადგენლები არიან პასუხისმგებელნი.
აქედან გამომდინარე, აღმაშფოთებელია მსგავსი მოვლენებისადმი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის დამოკიდებულება, რომლებიც ცდილობენ გამართლება მოუძებნონ დანაშაულებრივ ქმედებებს და “სამართლიანობის აღდგენასაც” კი უკავშირებენ ადამიანებზე თავდასხმას და ძალადობას, გამომდინარე იქიდან, რომ მსხვერპლი ოპოზიციური პარტიის წევრი ან მხარდამჭერია.“[13]

***

2014 წლის 30 მარტს, ღამით, თავს დაესხნენ საპარლამენტო უმცირესობის წევრს ნუგზარ წიკლაურს. დაზარალებულის განცხადებით, მას სახლთან 7-8 ადამიანი დახვდა, რომელთაც მისი გატაცება სცადეს და ელექტროშოკიც გამოიყენეს. საქმის გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას ითვალისწინებს.

მიგვაჩნია, რომ ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმე კვალიფიკაციას საჭიროებს. პარლამენტის წევრის მტკიცებით, მის მიმართ განხორციელდა ჯგუფური ძალადობა და იყო ასევე მისი გატაცების მცდელობაც. პარლამენტის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსუბუქი მუხლით კვალიფიკაცია უთანაბრდება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ძალადობის წახალისებას.

აღსანიშნავია, რომ ნ.წიკლაურის საქმის გამოძიება და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა დღემდე არ მომხდარა, რაც ნიშნავს სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების – აწარმოოს ობიექტური, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება – შეუსრულებლობას.

***

[13] http://gdi.ge/?p=692

2014 წლის 3 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას ძმის დავით კოდუას მიმართ თავდასხმა განხორციელდა. დაზარალებულის ოჯახის წევრების განცხადებით, დ.კოდუას თავს დაესხა ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული პირი, რომლებმაც იგი გათიშეს ელექტროშოკით და შემდეგ სცემეს. მომხდარი ძალადობის ფაქტზე თავდამსხმელს ნოშრევან ნამორაძეს ბრალი წარედგინა ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის[14].
2014 წლის 18 სექტემბერს დ. კოდუას თავდასხმაში ბრალდებულ ნ.ნამორაძეს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა შეეცვალა 50-ათასლარიანი გირაოთი და იგი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. როგორც ბრალდებულის ადვოკატებისგან გახდა ცნობილი, ნ.ნამორაძეს არ დაუმტკიცდა ჯგუფური თავდასხმა, რის გამოც შესაძლებელი გახდა მისი გირაოთი გათავისუფლება.

მიგვაჩნია, რომ მომხდართან დაკავშირებითაც მთავარმა პროკურატურამ განახორციელა ქმედების მსუბუქი კვალიფიკაცია, რაც არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას ნებისმიერ სამართალდარღვევაზე განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება და სათანადო სანქცია დააკისროს დამნაშავეს. სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა ახალისებს ადამიანების დევნას პოლიტიკური ნიშნით და ხელს უშლის ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას.

***

2014 წლის 27 მაისს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს ზურაბ ჭიაბერაშვილს და ნოდარ ლადარიას ლიტერატურულ კაფეში თავს დაესხნენ რეზო თაბუკაშვილი და გიორგი მგელაძე[15]. სასამართლომ მომხდარში ბრალდებულ რ.თაბუკაშვილს ორიათასლარიანი გირაო შეუფარდა[16]. გავრცელებული ინფორმაციით, გ.მგელაძეს ბრალი არ წარდგენია და იგი გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით დაიკითხა[17].

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები

გიგი უგულავას საქმე

“საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ასახულია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდგომ მთელი

[14] სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[15] https://www.youtube.com/watch?v=T_h5_5eaxNM

[16] http://www.interpressnews.ge/ge/samartali/283962-rezo-thabukashvils-aghmkveth-ghonisdziebad-2000-lariani-girao-sheefarda.html?ar=A

[17] http://medianews.ge/ge/rezotabukashvilschiaberashvilzetavdaskhmisfaqtze2-ataslarianigiraosheefarda/78051

რიგი სისხლის სამართლის საქმეების წარმოება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.[18][19]

სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ქ.თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სასამართლო პროცესი. მიგვაჩნია, რომ გ.უგულავას მიმართ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლება, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას, და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გ.უგულავა ითხოვდა მერის უფლებამოსილების აღდგენას, თუმცა სასამართლო პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურების გამო ყოფილმა მერმა, საბოლოოდ, შუამდგომლობის გატანის გადაწყვეტილება მიიღო.

გიგი უგულავამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენებას და ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე[20], და რომელთა საფუძველზეც 2013 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას მერის უფლებამოსილება შეუჩერა.

2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიგი უგულავას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა, იმავდროულად, გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერებას ან შეწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ერთ-ერთ ყველაზე უხეშ ჩარევას.

ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მეორე

[18] http://gdi.ge/wp-content/uploads/2014/03/ანგარიშის-სრული-ვერსიის-ჩამოტვირთვა.pdf

[19] http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf

[20] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლი; 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება.

მხარისთვის შეტყობინებისა და მისთვის დაცვის შესაძლებლობის მინიჭების გარეშე არ უნდა ხდებოდეს.

გიგი უგულავამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა იმ განჩინების გაუქმება, რომლითაც მას შეუჩერეს თბილისის მერობის უფლებამოსილება. ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის პოზიციას და განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება საქალაქო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის და იგი სააპელაციო სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს.

2014 წლის 5 და 10 ივნისს გიგი უგულავას საქმეზე ჩანიშნული სასამართლო სხდომები გადაიდო ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის მიზეზით. ოფიციალური ვერსიით, სხდომებზე ბრალდების მხარის გამოუცხადებლობა განპირობებული იყო პროკურორების მივლინებით სემინარებზე, რომლებიც ბათუმში ტარდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გიგი უგულავას უფლებამოსილების აღდგენის საკითხზე გადაწყვეტილება 25 ივნისს უნდა გამოცხადებულიყო. მოსამართლე მაია შოშიაშვილმა სათათბირო ვადა გაახანგრძლივა და გადაწყვეტილების გამოცხადების დღედ 26 ივნისი დაასახელა, თუმცა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე გიგი უგულავამ უფლებამოსილების აღდგენის შესახებ შუამდგომლობა საქალაქო სასამართლოდან გაიტანა, რაც სასამართლოსადმი უნდობლობით ახსნა.

საქმის მიმდინარეობა აჩვენებს, რომ სასამართლოს სხდომების გადადება არ გამომდინარეობდა კანონის მოთხოვნებიდან და იგი ემსახურებოდა საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას.

სახელმწიფო ბრალდებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ახორციელებდა 4 პროკურორი. ყველა მათგანის ერთდროული და ხანგრძლივი მივლინება ქალაქგარეთ, რის გამოც ისინი სასამართლო სხდომებზე ვერ გამოცხადდნენ, ბადებს იმის ეჭვს, რომ შექმნილი ვითარების მიზანს სასამართლო პროცესის ხელოვნური გაჭიანურება წარმოადგენდა.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოხედვით სასამართლო სხდომის გადადება შესაძლებელია საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რის განმარტებასაც კანონი ახდენს შემდეგნაირად: "საპატიო მიზეზი – სისხლის სამართლის საპროცესო მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას"[21]. ამგვარად, საქართველოს

[21] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი.

კანონმდებლობა პროკურორების სემინარზე მივლინებას არ განიხილავს სასამართლოზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებს შორის. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, არ გადაედო სხდომები, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობდა აღნიშნული საქმის დროულად განხილვის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სისხლისსამართლებრივი დევნა

2014 წლის 28 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაიბარეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მისი მოწმედ გამოუცხადებლობის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულად იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამ პოლიტიკური მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებელი გამოძიების კუთხით არაერთი კითხვა გააჩინა. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებები გაავრცელეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, აშშ-ს სენატორებმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლებმაც შეშფოთება გამოხატეს სავარაუდო პოლიტიკური მოტივების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის ბრალდებულად გამოცხადება მოხდა სწორედ მისი პროკურატურაში მოწმის სტატუსით გამოუცხადებლობის შემდეგ. არამართებულია პირის მოწმის სტატუსით დაკითხვა, თუ საგამოძიებო ორგანოების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა არის საკმარისი მისი ბრალდებულად ცნობისათვის. შესაბამისად, ბრალდებულის მოწმის სტატუსით დაბარება ეწინააღმდეგება როგორც ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე გამოძიების საჯარო ინტერესებს.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, გაავრცელა სპეციალური განცხადება ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია: „შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებთან მიმართებაში განვითარებული პროცესები კითხვებს ბადებს სამართალწარმოების კანონიერებასთან დაკავშირებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პირის დაკავების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ განცხადებები კეთდება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მანამდე, ვიდრე განხორციელდება შესაბამისი საპროცესო მოქმედებები, ასევე, სისტემატურად ხდება არაბრალეულობის პრეზუმფციის დარღვევა. ყოველივე ეს კითხვებს აჩენს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების

კუთხით, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, თავი შეიკავოს ყველა პირის შესაძლო ბრალეულობის შესახებ განცხადებისგან, განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება პოლიტიკოსს."

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

წინასაარჩევნო გარემო

2014 წლის 15 ივნისს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები ჩატარდა. არჩევნების დღის დანიშვნა პრეზიდენტის განკარგულებით და პრემიერ-მინისტრის მიერ კონტრასიგნაციის საფუძველზე მოხდა[22]. კენჭისყრის დღეს წინ უძღოდა ორთვიანი, საკმაოდ დაძაბული წინასაარჩევნო კამპანია. მმართველი პარტიისა და საჯარო მოხელეების მხრიდან არაერთხელ დაირღვა საარჩევნო კანონმდებლობა. რაც ყველაზე საყურადღებოა, წინასაარჩევნო პერიოდში ფიზიკურად გაუსწორდნენ ოპოზიციური პარტიის რამდენიმე წარმომადგენელს. გარდა ამისა, იმ ოპოზიციური კანდიდატების ნაწილი, ვინც საკუთარი ნებით საეჭვო გარემოებებში არჩევნებამდე მოხსნეს თავისი კანდიდატურა, ადასტურებენ ინფორმაციას მათზე სამართალდამცავთა მიერ განხორციელებული ზეწოლის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ არჩევნებამდე უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის კანდიდატებმა სხვადასხვა რეგიონებში მოხსნეს საკუთარი კანდიდატურები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელისუფლების წყაროა ხალხი და იგი თავის ძალაუფლებას ახორციელებს დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, წარმომადგენლების საშუალებით. ხოლო კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულია არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, ასევე უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. გამომდინარე აქედან, ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს არჩევნების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარება, იმავდროულად შექმნას თანასწორუფლებიანი წინასაარჩევნო გარემო ყველა პოლიტიკური ძალისათვის, რათა თითოეულმა მათგანმა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მოახერხოს სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება და მათ არ შეექმნათ გარკვეული დაბრკოლებები წინასაარჩევნო პერიოდში.

წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში. ცვლილების შედეგად, „მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე

[22] http://www.interpressnews.ge/ge/politika/277911-mthavrobam-archevnebis-tharighthan-dakavshirebith-prezidentis-gankarguleba-moitsona.html?ar=A [უკანასკნელად ნანახია 21.06.2014];

მეტი მიიღო[23].“ ყველა საკრებულოს არჩევა კი 4%-იანი ბარიერით განისაზღვრა[24]. ცვლილებებით ასევე დარეგულირდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და მედიასთან დაკავშირებული რეგულაციების რიგი საკითხები[25].

სახელმწიფო სტრუქტურებმა გამოაცხადეს მზადყოფნა, შეასრულონ საკუთარი პოზიტიური ვალდებულება და უზრუნველყონ არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება. საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც დაევალა წინასაარჩევნო დარღვევების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციებით მიმართვა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა და პოლიტიკური პარტიებისადმი გამოვლენილი კანონდარღვევების თაობაზე. ასევე საარჩევნო კამპანიაში ჩართულ პირთა მიმართ გამოცხადდა მორატორიუმი სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე[26].

ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის სამართალდარღვევები, ძირითადად, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლების და საჯარო მოხელეების მხრიდან. არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებით, სულ დაფიქსირდა აგიტაციაში ხელის შეშლის 15-მდე და სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების 4 ფაქტი. ამასთან ერთად, არასამთავრობოების ინფორმაციითვე, 9 სხვადასხვა რეგიონის 15 ოლქში 6 ოპოზიციური პარტიის ბევრმა კანდიდატმა, სავარაუდოდ, ზეწოლის შედეგად მოხსნა თავისი კანდიდატურა[27]. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის რეგიონები და ქალაქები, სადაც არსებობდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციურ პარტიებს მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ. მაგალითად, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა მოხსნა კანდიდატურა. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, უწყებამ გამოიკვლია საარჩევნო სუბიექტების მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლის 80 ფაქტი. 80-დან 76 შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტებმა გამოკითხვისას არ დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ან სხვა პირთა მხრიდან ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის შესახებ და კანდიდატურის მოხსნის მიზეზად სხვადასხვა პირადი (ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, გადატვირთულობა და ა.შ.) მოტივი დაასახელეს. 4 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით. საგამოძიებო უწყების

---

[23] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 149-ემუხლი;

[24] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 148-ემუხლი;

[25]უფრო დეტალურად იხილეთ: საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ #2093-IIს https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2277882 ; http://transparency.ge/en/node/4102 [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

[26]http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=41753 [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

[27]http://transparency.ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiebi-tertmet-saarchevno-olkshi-kandidatebze-zetsol ; http://transparency.ge/post/press-release/tsinasaarchevno-garemos-shefaseba-2014-tvitmmartvelobis-archevnebi [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

ცნობით, გამოძიება გრძელდება მუქარის შემცველი ზარების ავტორების და იმ პირთა ვინაობის დასადგენად, რომლებიც, შესაძლოა, ფლობდნენ რაიმე ინფორმაციას მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით[28].

ასევე დაფიქსირდა აგიტაციის წესების დარღვევის, სამსახურიდან გათავისუფლების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები[29].

განსაკუთრებით ყურადსაღებია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის გამგებლობის კანდიდატის აკმამედ იმამკულიევის მიმართ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. აკმამედ იმამკულიევს მარნეულის საოლქო კომისიამ გაუუქმა რეგისტრაცია. ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განმარტებით, კანდიდატი ვერ აკმაყოფილებდა კანონის იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. აღსანიშნავია, რომ იმავე სიტუაციაში მყოფ კოალიცია „ქართული ოცნების“ რუსთავისა და ფოთის მერობის კანდიდატებს რეგისტრაცია შეუნარჩუნდათ და საარჩევნო კოდექსის ეს ნორმა მათ შემთხვევაში უფრო ფართოდ განიმარტა. რაც ყველაზე საყურადღებოა, თავად მარნეულის გამგებლობის კანდიდატი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ კოალიცია “ქართული ოცნების” წარმომადგენლებმა სცადეს, დაერწმუნებინათ ისინი, მოეხსნათ ა.იმამკულიევის კანდიდატურა, რაზეც უარის მიღების შემდგომ მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციას. თუმცა საბოლოოდ, სასამართლომ დააკმაყოფილა ა.იმამკულიევის მოთხოვნა და აღადგინა მისი რეგისტრაცია[30].

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ საარჩევნო კამპანიის ჩატარების ხელშეშლისა და ძალადობის ფაქტები ასევე განხორციელდა 2014 წლის 31 მაისსა და 14 ივნისს ფონიჭალაში[31].

ამ დროს, ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, შსს-მ გააკეთა განცხადება, სადაც გამოძიების ჩატარების გარეშე აფიქსირებსგამოცხადდა, რომ პოლიციას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების კანდიდატებზე ზეწოლა არ განუხორციელებია[32]. პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არც ერთ რეგიონსა და ქალაქში არ დაუშვებს სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას [33].

წინასაარჩევნო პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას. კომისიის მიერ შემუშავებული მთელი რიგი რეკომენდაციების მიუხედავად,

---

[28] www.interpressnews.ge/ge/politika/285854-prokuratura-saarchevno-subieqtebma-80-shemthkhvevidan-76-shi-zetsolis-shedegad-kandidaturis-mokhsna-ar-daadastures.html?ar=A [უკანასკნელადნანახია 12.06.2014];

[29] http://gyla.ge/geo/news?info=2160 ;http://gyla.ge/geo/news?info=2122 [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

[30] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32451/ [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

[31] http://www.tabula.ge/ge/story/84445-nacionaluri-modzraobis-aqtivistebs-zemo-fonichalashi-fizikurad-gaustsordnen [უკანასკნელადნანახია 22.06.2014] ;

[32] http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/6671[უკანასკნელადნანახია 22.06.2014];

[33] http://www.interpressnews.ge/ge/politika/284224-irakli-gharibashvili-qqarthuli-ocnebaq-arc-erth-regionsa-da-qalaqshi-ar-daushvebs-skhva-politikuri-dzalis-gamarjvebas.html?ar=A [უკანასკნელად ნანახია 22.06.2014];

არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, აღნიშნული ორგანოს მუშაობა უფრო ეფექტური უნდა ყოფილიყო დარღვევების პრევენციისა და მათზე დროული რეაგირების თვალსაზრისით[34]. ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კომისიის რეკომენდაციებისა და განცხადებების აღსრულება სათანადოდ არ ხდებოდა. ასევე აღსანიშნია, რომ კომისია, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, დაგვიანებით შეიქმნა [35].

კენჭისყრის დღე

მიუხედავად იმისა, რომ, არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებელთა ინფორმაციით, 2014 წლის 15 ივნისს კენჭისყრის პროცესი, ძირითადად, მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა[36], ზოგიერთ უბანზე დაფიქსირდა სერიოზული დარღვევები, მოხდა დაპირისპირება სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს შორის, რამაც საფრთხე შეუქმნა საარჩევნო პროცესის ნორმალურ გარემოში წარმართვას, მით უმეტეს, რომ ამგვარ ინციდენტებზე სამართალდამცავთა რეაგირება ხშირად დაგვიანებით ან არაადეკვატურად ხდებოდა. აღნიშნული ინციდენტებისა და დარღვევების გამო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 14 საარჩევნო უბანზე გაუქმდა შედეგები და, შესაბამისად, ამ უბნებზე 2014 წლის 29 ივნისს განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა[37].

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2014 წლის 15 ივლისს რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა დაფიქსირდა:მარტვილში, არჩევნების წინა დღეებში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოსახლეობის მოსყიდვას, გამთენიისას კი გაიტაცეს მარტვილის N16 უბნის საარჩევნო მასალები (ბიულეტენები და ბეჭდები); გატაცებული მასალები მოგვიანებით ნაგავსაყრელზე იპოვეს.

ასევე, დარღვევები დაფიქსირდა ზუგდიდის საარჩევნო ოლქის N32 უბანზე (ანაკლია), სადაც ხმის მიცემა ჩაიშალა ერთ-ერთი გარდაცვლილის, აბულაძის, ნათესავების შეჭრის გამო[38].

კენჭისყრის პროცესის ჩაშლის მცდელობა იყო ასევე ზუგდიდის საარჩევნო ოლქის სოფელ ახალსოფლის N36 უბანზე.

---

[34] http://transparency.ge/post/press-release/tsinasaarchevno-garemos-shefaseba-2014-tvitmmartvelobis-archevnebi

[35] უწყებათაშორისი კომისია უნდა შექმნილიყო არაუგვიანეს 24 მარტისა. თუმცა რეალურად კომისია მხოლოდ 2014 წლის 6 აპრილს შეიქმნა

[36] http://gyla.ge/geo/news?info=2181 ; http://transparency.ge/post/general-announcement/2014-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-shemajamebeli-gancxadeba

[37] http://www.cesko.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/29-ivniss-tvitmmartvelobis-archevnebis-ganmeorebiti-kenchisyra-14-saarchevno-ubanze-gaimarteba.page

[38] http://news.ge/ge/news/story/85080-ori-tslis-tsin-gauchinarebuli-gogita-abuladzis-ojakhis-tsevrebma-saavtomobilo-gza-gadaketes

მარტვილის საარჩევნო ოლქის N20 უბანზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამომრჩევლები მარკირების შემოწმების გარეშე აძლევდნენ ხმას, რადგანაც მარკირების შესამოწმებელი ფარანი გაფუჭდა.

ოთხ უბანზე (ზუგდიდის საარჩევნო ოლქის N26 და N64, ასევე, მარტვილის საარჩევნო ოლქის N11 და N27 უბნები) ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის ორი წარმომადგენელი იმყოფებოდა, მაშინ, როდესაც კანონით მხოლოდ ერთ წარმომადგენელს შეუძლია უბანზე ყოფნა.

ისნის საარჩევნო ოლქის N14 უბანზე გადასატანი ყუთის სიაში მყოფ 14 ადამიანიდან 10 ადამიანის შესახებ არასწორი მონაცემები იყო შეტანილი და ხმის მიცემა ვერ შეძლეს. ყუთის დაბრუნების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ, საოლქო კომისიასთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება გადასატანი ყუთით კენჭისყრის ხელახლა ჩატარების შესახებ გასწორებული მონაცემებით.

დიდუბის საარჩევნო ოლქის N31 უბანზე 19.00-დან 20.00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურები 19.00 საათამდე უკვე დასრულებული იყო[39].

ზოგიერთ უბანზე ასევე დაფიქსირდა სხვა სახის პროცედურული დარღვევები, მათ შორის, მარკირების პროცედურების დარღვევა, წილისყრის პროცედურების დარღვევა, არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე და ა. შ.[40]

ინციდენტები მოხდა ასევე დედოფლისწყაროს რამდენიმე საარჩევნო უბანზე და ხონის N22 უბანზე, სადაც უცნობი პირები შეიჭრნენ და საარჩევნო ყუთი დაამტვრიეს. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შსს-მ უკვე დაიწყო გამოძიება. დაკავებულია რამდენიმე პირი[41].

აღსანიშნავია, რომ მარტვილის N16 საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შსს-მ დააკავა ორი პირი; გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა) დაიწყო. 2014 წლის 26 სექტემბერს სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, რისთვისაც თითოეულს სასჯელად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა

39 http://www.tabula.ge/ge/story/84469-ti-kvelaze-meti-darghveva-zugdidis-da-martvilis-saarchevno-olqebshi-gamovlinda

40 http://gyla.ge/geo/news?info=2181 ; http://transparency.ge/post/general-announcement/2014-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-shemajamebeli-gancxadeba

41 http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/6737

განესაზღვრა. აქედან 1 წელი დაუდგინდათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანარჩენი 1 წელი ჩაეთვალათ პირობითად[42].

გამოძიება მიმდინარეობდა ასევე მარნეულის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 164[3] მუხლით, რაც გულისხმობს არჩევნების შედეგების გაყალბებას. გამოძიების შედეგები ამ ეტაპისთვის უცნობია.

დარღვევები დაფიქსირდა მარნეულის N57 საარჩევნო უბანზე, სადაც ხმის მისაცემად კაბინაში ორი ადამიანი შევიდა. იმავე უბანზე მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე უშვებდნენ ხმის მისაცემად. აღნიშნული ოლქის N57 და N25 უბნებთან დაკავშირებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალის მიხედვით, საარჩევნო ყუთში ერთი და იგივე პირი, ნ. ალიევი, გამზადებულ ბიულეტენებს ყრის[43].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი[44], რომელიც, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით[45], გაზრდილია 4%-ით და მთელი საქართველოს მასშტაბით 5% შეადგენს. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მონაცემებით, ბათილი ბიულეტენების ყველაზე მაღალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ასევე, საგარეჯოს ოლქში დაფიქსირდა. აღნიშნული რეგიონების რამდენიმე ოლქის საარჩევნო უბანზე ბათილი ბიულეტენების მაჩვენებელი 15%-ზე მაღალია. ასევე ასობით საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულია 1000-ზე მეტი ხარვეზი და დარღვევა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. კერძოდ, შედეგების შემაჯამებელ 500-მდე ოქმს აკლდა საჭირო რეკვიზიტები; ამავე რაოდენობის შემაჯამებელ ოქმებში არ იყო დაცული ბალანსი, კერძოდ, შედეგების შემაჯამებელ ოქმებში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მიმატებული ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მეტია ან საგრძნობლად ნაკლებია არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე. ასევე, შედეგების

---

[42] http://www.gurianews.com/view_left_wide.html?item=22079&title=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D+%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97+%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2C+%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98+%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97+%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9C&cat_id=74&lang=ka

[43] http://www.youtube.com/watch?v=RKW6WmSCkHY

[44] http://transparency.ge/post/general-announcement/kenchisqris-shedegebis-shemajamebel-okmebshi-kvlav-bevri-kharvezia ; http://www.isfed.ge/main/726/geo/

[45] ბათილი ბიულეტენების საშუალო მაჩვენებელი 2010 წელს 1% იყო;

შემაჯამებელ 50-ზე მეტ ოქმში გადაკეთებული იყო ერთი ან რამდენიმე მონაცემი[46]. ISFED-მა მოუწოდა ცესკოს, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე, თავიდან მომხდარიყო შედეგების გადათვლა იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც ბათილი ბიულეტენების რაოდენობა უჩვეულოდ დიდი აღმოჩნდა და ასევე იმ საარჩევნო უბნებზე, რომელთა შედეგების შემაჯამებელ ოქმებშიც დაფიქსირდა მნიშვნელოვანი დისბალანსი და გადასწორებები[47]. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებით კი, შემაჯამებელ ოქმებში აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი უზუსტობა, კერძოდ, დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატისთვის, ნიკა მელიასთვის, სამ უბანზე 100-100 ხმის დაკლების შემთხვევები[48]. თუმცა მოგვიანებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა[49].

ცესკოს მონაცემებით, კენჭისყრის შედეგად 12 თვითმმართველი ქალაქიდან 8 ქალაქში 50%-იანი ბარიერი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა. იგივე ვითარებაა 59-დან 11 მუნიციპალიტეტში გამგებლობის კანდიდატებთან მიმართებაში. შესაბამისად, ამ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში 2014 წლის 12 ივლისს ჩატარდა მეორე ტური[50].

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, 12 ივლისს კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცესმა ჩაიარა მშვიდ გარემოში, მეორე ტურის მიმდინარეობას ასევე დადებითად აფასებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)[51]. იმავდროულად გამოიკვეთა ერთი საყურადღებო ტენდენცია, როდესაც 19 საარჩევნო ოლქის 73 საარჩევნო უბანზე მისული 140 ამომრჩეველი არ იყო საარჩევნო სიებში რეგისტრირებული. ამათგან 53 ამომრჩეველმა განაცხადა, რომ 15 ივნისის არჩევნების პირველ ტურში მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა[52]. ხაზგასასმელია ის, რომ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საარჩევნო უბნების გარეთ დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტები. ამასთან ერთად, კენჭისყრის მიმდინარეობისას პოლიტიკური პარტიების კოორდინატორები და აქტივისტები ისევე, როგორც წინა არჩევნებზე, აღნუსხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩეველს[53]. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეფასებით, ჩატარებული არჩევნები „არათავისუფალია“ და „აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დემოკრატიისათვის“, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც „ერთიანი

46 http://www.isfed.ge/main/726/geo/
47 ი ქ ვ ე
48 http://frontnews.ge/ge/news/44856
49 http://results.cec.gov.ge/meri_tbilisi.html
50 http://www.cesko.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/sainformacio-brifingi-ceskoshi12258.page
51 http://www.imedi.ge/index.php?pg=nws&id=34452
52 http://www.isfed.ge/main/750/geo/ ; http://transparency.ge/post/general-announcement/2014-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-meore-turis-shepaseba?fb_action_ids=10202154536325613&fb_action_types=og.like ; http://gyla.ge/geo/news?info=2223
53 იქვე

ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი – გიგი უგულავა მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე დააპატიმრეს[54].

დისკრიმინაცია

დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მის იურისდიქციაში მოქცეული ყველა პირისთვის მათი უფლებებით და თავისუფლებებით თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუციით, ისევე, როგორც არაერთი საერთაშორისო აქტით, რომლებთანაც საქართველო არის მიერთებული, გაცხადებულია თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპები. სახელმწიფოს ვალია, ყველაფერი გააკეთოს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და ამისთვის გაატაროს ქმედითი, ეფექტური ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური და სქესობრივი ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის არაერთი ფაქტი, რომლებსაც არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება ხელისუფლების მხრიდან. უფრო მეტიც, საშიშ ტენდენციად ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მხრიდან პრობლემის მიმართ გამოვლენილი ლოიალური დამოკიდებულება, მისი იგნორირება ან მასზე არაეფექტური რეაგირება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან დისკრიმინაციის წახალისებაც კი, მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენებით და დისკრიმინაციული გამონათქვამებით სხვადასხვა უმცირესობების მიმართ. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავები რეაგირებას ახორციელებენ დისკრიმინაციის ფაქტებზე, როგორც წესი, დისკრიმინაციული მოტივის სრული იგნორირება ხდება. შედეგად, დისკრიმინაციის ჩამდენ პირებს უყალიბდებათ დაუსჯელობის განცდა, რაც უმცირესობათა ჩაგვრის უფრო მწვავე გამოხატულებების გაჩენასა და დისკრიმინაციის ფაქტების მომრავლებას უწყობს ხელს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიგიური უმცირესობების შევიწროებისა და დისკრიმინაციის პრაქტიკა, რომელმაც საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიიღო ბოლო ორი წლის განმავლობაში და რომელიც დღემდე გრძელდება. იგი გამოწვეულია საზოგადოებაში შემწყნარებლობის საკმაოდ დაბალი კულტურით, რაც წახალისებულია ბუნდოვანი და არაეფექტური სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია საქართველოს დომინანტი რელიგიური ჯგუფის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის, განწყობაზე. ამ უკანასკნელის დისკრიმინაციული განცხადებები და ღია აგრესია რელიგიური თუ სხვა სახის უმცირესობების მიმართ, ხშირად, წახალისებული და მხარდაჭერილია მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან.

[54] http://www.myvideo.ge/?video_id=2375131

არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა სახელმწიფოს შემდგომი დემოკრატიული განვითარებისთვის, საჭიროებს სათანადო ყურადღებას შესაბამისი უწყებების მხრიდან, ეფექტური და ქმედითი ზომების დაგეგმვას და გატარებას. სამწუხაროდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიღებასაც, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის და არაერთი საჯარო პირის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობის გამო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და ლობირება დასჭირდა, საბოლოოდ, ფორმალურად იქნა მიღებული და არ გვთავაზობს დისკრიმინაციის აღმოფხვრის ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმებს.

დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

2014 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის რამდენიმე ფაქტი.

იმედის ფესტივალი

2014 წლის 6–8 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო „იმედის ფესტივალი“, ყველაზე მასშტაბური საევანგელიზაციო ღონისძიება საქართველოში, რომლის ორგანიზატორებიც 150-ზე მეტი ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ. ფესტივალის ორგანიზატორები წააწყდნენ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რის გამოც ღონისძიების საჯარო სივრცეში ჩატარება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“, და აღნიშნეს, რომ ფესტივალის გამართვისთვის ხელშეშლა, რამაც ღონისძიების ორგანიზატორ რელიგიურ გაერთიანებებსა და ფესტივალის მონაწილეებს შეუზღუდა რელიგიის თავისუფლება, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ნიშნებს შეიცავდა. არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, „იმედის ფესტივალის“ გამართვის ხელშეშლასთან დაკავშირებული ფაქტები, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მანდატის ფარგლებში, საჭიროებს სათანადო შეფასებას სახალხო დამცველისა და ასევე საგამოძიებო ორგანოების მხრიდან[55].

ოფიციალური ვერსიით, ფესტივალის ჩატარება სპორტის სასახლეში 2014 წლის 3 ივნისს გაჩენილი ხანძრის გამო ვერ მოხერხდა. მიუხედავად თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის განცხადებისა, რომ ხანძრის ლიკვიდაცია მალევე მოხდა და მას მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია, სპორტის სასახლის დირექტორის გადაწყვეტილებით, შენობის მდგრადობის შეფასების გარეშე, ორგანიზატორებს

[55] http://gdi.ge/?p=707

ღონისძიების გამართვაზე უარი ეთქვათ. ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს ვერც სხვა ალტერნატიული საჯარო ადგილის მოპოვება[56].

არასამთავრობო ორგანიზაციათა ინფორმაციით, „იმედის ფესტივალის“ ორგანიზატორებს ჰქონდათ კომუნიკაცია ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელთან, მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან, თუმცა აღნიშნულ შეხვედრებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია და ფესტივალის გამართვა ადეკვატურ საჯარო სივრცეში ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა[57]. საბოლოოდ ფესტივალი დიდუბეში მდებარე სახარების რწმენის ეკლესიის ეზოში გაიმართა და მიმდინარეობდა აქციის ფონზე, რომლის ორგანიზატორებიც, მათ შორის, გიორგი გაბედავა, ფესტივალის გამართვას აპროტესტებდნენ და მოუწოდებდნენ მოქალაქეებს, არ შესულიყვნენ ეკლესიის ეზოში[58].

ხაზგასასმელია, რომ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა ექსტრემისტმა და თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი გაბედავამ ჯერ კიდევ 2 ივნისს გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ იგი ”მეგობრებთან ერთად” შეეცდებოდა დაგეგმილი ფესტივალის ჩაშლას[59].

ფესტივალის ორგანიზატორები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წააწყდნენ ასევე ღონისძიების დაგეგმვის პერიოდში გარე რეკლამების განთავსებასთან დაკავშირებით. ფესტივალის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე სარეკლამო კომპანია „აუთდორ.ჯი“-მ, რომელთანაც ორგანიზატორებმა ხელშეკრულება დადეს და შესაბამისი ანაზღაურებაც გადაიხადეს, დაარღვია ხელშეკრულების პირობები და ჩამოხსნა გარე რეკლამების დიდი ნაწილი, რომელთა აღდგენაც მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან ამ საკითხით დაინტერესების შემდეგ მოხდა[60].

აღსანიშნავია, რომ შსს-ს არ დაუწყია სპორტის სასახლეში ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოძიება. ასევე ყურადსაღებია, რომ 2014 წლის 9 ივნისს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ რელიგიურ გაერთიანებებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნული საკითხის განხილვა არ მომხდარა. სააგენტოს ხელმძღვანელის ზაზა ვაშაყმაძის განცხადებით, რელიგიური პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა მომავალში ინდივიდუალურ ფორმატში მოხდება[61]. რაც შეეხება სახალხო დამცველის ოფისს, მათ დაიწყეს საევანგელიზაციო ღონისძიება "იმედის

---

[56] http://www.tabula.ge/ge/story/83949-sportis-sasaxleshi-imedis-festivalis-teqnikuri-motskobiloba-daitsva
[57] http://gdi.ge/?p=707
[58] http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/32328/ ; http://www.youtube.com/watch?v=B24kIKwK1yg
[59] http://www.tabula.ge/ge/story/83905-eqstremistebi-sportis-sasaxleshi-dagegmili-imedis-festivalis-chashlas-gegmaven
[60] http://gdi.ge/?p=707
[61] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32408/

ფესტივალთან" დაკავშირებული საკითხის შესწავლა[62], თუმცა ამ ეტაპზე რაიმე სახის დასკვნა ომბუდსმენის აპარატს არ გამოუქვეყნებია.

<u>იეჰოვას მოწმეების დევნა</u>

არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებით, 2013-2014 წლებში იეჰოვას მოწმეთა მიმართ ძალადობის ფაქტების რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა, მათ შორის, გაზრდილია ფიზიკურ პირებზე თავდასხმათა რაოდენობა[63].

2013 წელს იეჰოვას მოწმეების რელიგიური ნიშნით დევნისა და შევიწროების 45 ფაქტი დაფიქსირდა[64], რასთან დაკავშირებითაც 2014 წლის 24 მარტს იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ მიმართა შესაბამის უწყებებს და მოითხოვა დროული რეაგირება, ასევე, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება მომავალში ამგვარი ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

2014 წლის იანვარ – მარტის პერიოდში გამოვლინდა იეჰოვას მოწმეთა მიმართ ძალადობის 25 შემთხვევა, მათ შორის 20 შემთხვევა გამოიხატა რელიგიური მსახურებისათვის ხელის შეშლაში, აქედან 9 – ფიზიკური ძალადობით, ხოლო 11 – რელიგიური გრძნობის სიტყვიერი შეურაცხყოფით[65]. წინა წლების მსგავსად, რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე პოლიციის რეაგირება უმეტეს შემთხვევებში არაადეკვატური იყო[66].

იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა განხორციელდა 2014 წლის 1 იანვარს, ოზურგეთში. ავტომანქანას, რომელშიც იეჰოვას მოწმეები ისხდნენ, მინები ჩაუმსხვრიეს, ხოლო შენობას, სადაც დაზარალებულები რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ, ქვები დაუშინეს[67]. აღსანიშნავია, რომ შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) დაიწყო, ხოლო სამართალდარღვევის რელიგიური მოტივი იგნორირებული იქნა.

---

[62] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32229/

[63]http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/angarishi,%20shinagan%20saqmeta%20saministros%202013%20tslis%20mushaobis%20shefaseba,%2026%20aprili%202014.pdf [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014]

[64]http://www.netgazeti.ge/GE/105/law/24789/; http://www.tabula.ge/ge/story/77497-iehovas-motsmeebs-goris-raionshi-saxlis-msheneblobas-ushlian; http://main.imedi.ge/index.php?pg=nws&id=18562 [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014]

[65]იქვე

[66]იქვე

[67]http://www.newposts.ge/?id=27421 [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014]

იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული მიდგომის ფაქტი დაფიქსირდა ასევე თერჯოლაში, სადაც მათ სამლოცველოს აშენების უფლებას არ აძლევენ. 2014 წლის 24 მაისს საკრებულომ გასცა მშენებლობის ნებართვა, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მცხოვრებლების პროტესტი[68]. 4 ივნისს მშენებლობა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრებლის განაცხადის საფუძველზე შეჩერდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თერჯოლის გამგებელმა მალხაზ გურგენიძემ ტელეკომპანია „მაესტროსთან" საუბრისას აღნიშნა, რომ „გათვალისწინებული იქნება უმრავლესობის – მართლმადიდებელი მრევლის აზრი[69]."

აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციები ტარდებოდა სასწავლო საათებში და მასში მონაწილეობას იღებდნენ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეები, რაც ცალსახად არღვევს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, რომელიც ავალდებულებს სკოლას შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას და კრძალავს დისკრიმინაციულ მოპყრობას, ასევე, სკოლის რესურსების არასასკოლო მიზნებისთვის გამოყენებას[70].

<u>კათოლიკეთა დისკრიმინაცია სამცხე-ჯავახეთში</u>

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის სოფლებში კათოლიკური ტაძრებით მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს, რის გამოც კათოლიკურ მრევლს წირვის ჩატარების საშუალება არ ეძლევა. ამის გარდა, სკოლებში მოსწავლეების მიმართ ხორციელდება დისკრიმინაციული ქმედებები რელიგიურ ნიადაგზე.

გავრცელებული ვიდეომასალის მიხედვით, იკვეთება სამცხე-ჯავახეთის სოფლებში (ივლიტა, ვალე, უდე, არალი) ადგილობრივი კათოლიკე თემის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის და დისკრიმინაციის ფაქტები[71].

მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ კათოლიკეები შეადგენენ, მათ ისტორიულად კათოლიკურ ტაძრებში წირვის ჩატარების შესაძლებლობა არ ეძლევათ, ამ ტაძრებით კი მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს. კათოლიკე მოძღვრების განცხადებით, მათ პრობლემა ექმნებათ ახალი კათოლიკური ტაძრების

---

[68] http://www.youtube.com/watch?v=s0RZBnEV7KY [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

[69] http://m.pia.ge/show_news.php?id=15676 ; http://www.liberali.ge/ge/liberali/multimedia/119072/https://www.youtube.com/watch?v=ZhDZ-ZKHhE0 [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

[70] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-13 მუხლი;

[71] http://www.youtube.com/watch?v=EN8dgOMs8Zc#t=11[უკანასკნელად ნანახია 02.07.2014];

მშენებლობისათვის ნებართვის მიღების კუთხითაც. მათი თქმით, ასევე მწვავე პრობლემას წარმოადგენს საჯარო სკოლებში ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის და კათოლიკე მოსწავლეების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის პრაქტიკა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებიც[72].

სომეხთა ეპარქიის განცხადება

დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობაზე საუბრობს ასევე სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია, რომელმაც სპეციალური განცხადებით მიმართა საპატრიარქოსა და ხელისუფლებას, რათა მოხდეს საჭირო ზომების მიღება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირის მხრიდან მათი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის მრევლის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად[73]. ეპარქიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, დისკრიმინაციის ფაქტები ხშირია. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა 10 წლის გოგონას მიმართ, რომელსაც ექსკურსიაზე ყოფნის დროს სასულიერო პირებმა ტაძრის დატოვება მოსთხოვეს[74].

რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაცია

2014 წლის პირველ ნახევარში გამოვლინდა სავარაუდოდ რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე დევნისა და შევიწროების ფაქტები.

თბილისში მცხოვრები ბრიტანეთის მოქალაქის, აარონ ჩარლზის, განცხადებით, მის მიმართ განხორციელდა რასობრივი დისკრიმინაცია სუპერმარკეტ „სმარტსა“ და რესტორნების ქსელ „მაკდონალდსში“ ყოფნის დროს. ორივე შემთხვევაში მასთან უცნობი პირები მივიდნენ და სცადეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება რასობრივ ნიადაგზე. მაკდონალდსის თანამშრომელმა კი, სიტუაციის გასანეიტრალებლად, თავად შეურაცხყოფის ობიექტი გაიყვანა შენობიდან[75].

2014 წლის 2 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, ეთნიკურად ქართველ პირთა ჯგუფი დაუპირისპირდა აფრიკული წარმოშობის ოთხ მამაკაცს. გავრცელებული ინფორმაციით, სიტყვიერი შელაპარაკება ქართველებსა და აფრიკელებს შორის, სავარაუდოდ, ამ

[72]http://www.youtube.com/watch?v=EN8dgOMs8Zc#t=11 [უკანასკნელად ნანახია 02.07.2014];
[73]http://news.ge/ge/news/story/93095-somekhta-eparqia-sapatriarqos-da-khelisuflebas-mati-mrevlis-diskriminatsiis-aghsakvetad-zomebis-mighebis-tkhovnit-mimartavs[უკანასკნელად ნანახია 02.07.2014];
[74]http://news.ge/ge/news/story/93088-sasuliero-piris-mier-10-tslis-bavshvis-diskriminatsiis-shesakheb-sotsialur-qselshi-tseren [უკანასკნელად ნანახია 02.07.2014] ;
[75]http://www.tabula.ge/ge/story/85185-aaron-charlzi-mis-mimart-ganxorcielebul-diskriminaciaze-saubrobs [უკანასკნელად ნანახია 01.07.2014];

უკანასკნელთა წარმომავლობის გამო მოხდა[76]. ინციდენტი ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა. შსს-მ აღნიშნულ ფაქტზე საქმის წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

2014 წლის 26–27 აპრილს, ავიაკომპანია „START AIRLINE"-ის წარმომადგენლის განცხადებით, ერაყიდან საქართველოს მიმართულებით განხორციელებული რეისით ჩამოსულ ერაყელ მოქალაქეებს სასაზღვრო პატრულის თანამშრომლებმა საქართველოში შემოსვლის უფლება არ მისცეს, ფული გამოსძალეს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ადგილზე გამოძახებული პატრულის თანამშრომლების ქმედებებში ასევე იკვეთებოდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია[77]. შსს-მ ამ საკითხთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო, რომლის შედეგებიც ამ ეტაპზე უცნობია.

დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, ყველაზე მკაფიო და ღია ფორმით 2013 წლის 17 მაისს გამოიხატა, როდესაც მოხდა ჰომოფობიასა და ტრანსოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ მშვიდობიან აქციაზე მასობრივი თავდასხმა, აქციის მონაწილეთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. თავდამსხმელთა შორის განსაკუთრებული აგრესიულობით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები გამოირჩეოდნენ. ადგილზე მყოფმა პოლიციამ არ უზრუნველყო ინციდენტის პრევენცია და აქციის მონაწილეთა ადგილიდან გაყვანით შემოიფარგლა, რაც ასევე მიმდინარეობდა სიტყვიერი შეურაცხყოფებისა და ფიზიკური დაპირისპირების მცდელობის ფონზე.

ზემოაღნიშნულის გამო, მომხდარიდან ერთი წლის თავზე, გადაწყდა, რომ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის 2014 წლის 17 მაისს აღნიშვნა საჯარო სივრცეში აქციის სახით აღარ მომხდარიყო[78]. საპასუხოდ, საქართველოს საპატრიარქომ 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების დღედ გამოაცხადა და ამ დღეს ქუჩებში მრევლის მონაწილეობით მასობრივი მსვლელობები მოაწყო[79]. საპატრიარქომ მორწმუნეთა ჯგუფს

---

[76]http://www.epn.ge/archives/22431[უკანასკნელად ნანახია 01.07.2014];

[77]http://news.ge/ge/news/story/87463-tbilisis-aeroportshi-sasazghvro-patrulis-tsarmomadgenlebma-erayis-moqalaqeebze-dzaladobrivi-qmedebebi-ganakhortsieles; http://www.youtube.com/watch?v=v6_Vv5Yprwc [უკანასკნელად ნანახია 01.07.2014];

[78]http://www.tabula.ge/ge/story/81469-vacharadze-17-maiss-saqartveloshi-aqciis-gamartvas-ar-vgegmavt[უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

[79]http://www.tabula.ge/ge/story/83104-ilia-ii-m-17-maisi-ojaxis-da-mshoblebis-pativiscemis-dghed-gamoacxada[უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

მოუწოდა, რომ მსვლელობები მხოლოდ ლოცვითი და მშვიდობიანი ყოფილიყო[80], თუმცა მსვლელობისას მრავლად იყო გამოყენებული ჰომოფობიური ფრაზების შემცველი პლაკატები[81]. აქციის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას აქციის მონაწილეებს შორის. ასევე ტელეკომპანია „ტაბულას“ გადამღებ ჯგუფზე განხორციელდა თავდასხმა, რაზეც შემთხვევის ადგილზე მყოფი პოლიციელი სამართალდამრღვევის ოქმით გაფრთხილებით შემოიფარგლა.

პოლიცია, როგორც წესი, არ რეაგირებს მსგავს ფაქტებზე. გამოძიება, რომელიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იწყება, ჭიანურდება და არადამაკმაყოფილებელი შედეგით მთავრდება. მეტიც, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რომ თავიდან აიცილონ გამოძიების დაწყება[82]. აღნიშნული ტენდენცია, სავარაუდოდ, დისკრიმინაციულ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულის სტატისტიკის ხელოვნურად დაბალი მაჩვენებლის დაფიქსირებას ემსახურება.

თანასწორობის უფლება და საქართველოს კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. აღნიშნული ნორმის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

ამ მუხლში არსებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. შესაბამისად შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ, კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს პირს დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი საფუძვლით.

---

[80] http://www.tabula.ge/ge/story/83291-sapatriarqo-17-maiss-mortsmuneta-msvlelobebi-unda-ikos-locviti-da-mshvidobiani [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

[81] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31524/ [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

[82] http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/118660/ [უკანასკნელად ნანახია 29.06.2014];

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მიღებას წინ უძღვოდა კანონპროექტის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი განხილვის პროცესი. კანონპროექტის თავდაპირველი რედაქცია მოამზადა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ხოლო მის განხილვაში და შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენაში აქტიურად იყო ჩართული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტის იმ ვერსიაში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გადაუგზავნა მთავრობას, ასახული იყო არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდი ნაწილის შენიშვნები და მოსაზრებები.

სამწუხაროდ, მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი თავდაპირველი ვერსიისგან. განსხვავებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტისაგან, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს დისკრიმინაციის პრევენციას და მასში უფლების დაცვის ნაკლები გარანტიებია წარმოდგენილი.

კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა თანასწორობის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელსაც რეპრესიული ფუნქცია უნდა ჰქონოდა და საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნეოდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. კანონპროექტით აღნიშნული ინსტიტუტის ჩანაცვლება საქართველოს სახალხო დამცველით მოხდა იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს დისკრიმინაციის ფაქტებზე მხოლოდ ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭა. მიგვაჩნია, რომ ამ პროცესში ომბუდსმენის როლი არ იძლევა მოქალაქეთა დაცულობის უზრუნველსაყოფად საკმარის გარანტიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკანონმდებლო პაკეტის აღნიშნული სახით მიღებით სახალხო დამცველს ფასადურად მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილება, თუმცა ამით ფაქტობრივად შესუსტდა მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და გარკვეული მიმართულებებით შეეკვეცა უფლებამოსილებანი.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო რეგულაცია

2014 წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრთან შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც დაევალა რელიგიის საკითხების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა. სამოქალაქო საზოგადოება იმთავითვე სკეპტიკურად მოეკიდა რელიგიის საკითხთა სააგენტოს შექმნას, რაც განპირობებულია რისკით, რომ სახელმწიფოს მხრიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის განსაზღვრული პრივილეგიების ფონზე რელიგიური საკითხების რეგულაცია არ იქცეს რელიგიური უმცირესობების უფლებების

შეზღუდვის და დისკრიმინაციის იარაღად. სააგენტოს შექმნის განსაკუთრებული საჭიროების არარსებობაზე მეტყველებს ის, რომ იმავე საკითხების დასარეგულირებლად უკვე ფუნქციონირებდა უწყებათაშორისი კომისია. ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივად მოხდა დახურულ კარს მიღმა, რელიგიურ გაერთიანებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ზოგადად სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციისა და მათი ჩართულობის გარეშე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის სპეციალისტი ზაზა ვაშაყმაძე, რომელიც 2012 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ითხოვდა საჯარო სკოლებში მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სავალდებულო სწავლებას[83] და რომელიც გამოირჩევა დისკრიმინაციული მიდგომით რელიგიური უმცირესობების მიმართ[84].

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ნეიტრალიტეტის პრინციპს რელიგიებთან მიმართებაში და აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. თუმცა, ამასთან ერთად, ხაზს უსვამს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობას, რომელიც გამყარებულია მათ შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით. ამ შეთანხმების მე-11 მუხლის თანახმად, საქართველო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციისათვის. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მსგავსი სახის ვალდებულება საქართველომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ აიღო.

2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილების პირველივე მუხლში მითითებულია, რომ დოკუმენტის მიღებას საფუძვლად კონსტიტუციის 38-ე მუხლი უდევს, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას ეხება.

აღნიშნული წესი ვრცელდება ეგრეთ წოდებულ „ტრადიციულ რელიგიებზე“, კერძოდ, ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე. კონკრეტულად რა პრინციპით მოხდა მათი შერჩევა მთავრობის მიერ, უცნობია.

ზიანის ანაზღაურების საკითხის დასმა მხოლოდ ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებაში დისკრიმინაციული ხასიათისაა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის არსებობისას არაერთი სხვა რელიგიური გაერთიანება, მათ შორის, იეჰოვას მოწმეები, ლუთერანული ეკლესია და სხვა, დაზარალდა და იდევნებოდა, აჩენს უთანასწორობის

[83] http://www.netgazeti.ge/GE/91/Life/8091/
[84] https://www.youtube.com/watch?v=j8B02ADH-QY

განცდას სხვა რელიგიური მიმდინარეობისთვის და, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად, პრივილიგირებულ მდგომარეობაში აყენებს ამ ოთხ რელიგიურ მიმდინარეობას.

ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ზიანის ანაზღაურების წესის თანახმად, რელიგიური გაერთიანებებისათვის ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება ევალება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №305 დადგენილებით შექმნილ რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელ უწყებათაშორის კომისიას.

აღნიშნული კომისიის საქმიანობის საორგანიზაციო უზრუნველყოფის განხორციელება დაევალა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს. კომისიის დებულების მე-3 მუხლის თანახმად, კომისიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ანალიზი; რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების, საკუთრების საკითხების, საგანმანათლებლო საქმიანობის და საჯარო ღვთისმსახურებისა და საჯარო რელიგიური მსვლელობის საკითხის შესწავლა; ასევე კონსულტაციების გამართვა, რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება.

თუმცა, უწყებათაშორისი კომისიის პარალელურად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის დადგენილებით, შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მსგავსი კომპეტენციითა და ოდნავ გაფართოებული უფლებამოსილებებით. სააგენტოს შექმნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სწორედ ოთხი რელიგიური აღმსარებლობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განკარგვის რეგულირება დასახელდა. სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა საინფორმაციო, კვლევითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობის განხორციელება რელიგიის სფეროში. კერძოდ, სააგენტოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, კვლევების განხორციელება, თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან და სხვა. დებულებით ასევე გაწერილია სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, სააგენტოს სტრუქტურა, მისი დაფინანსების საკითხი, ასევე სააგენტოს ქონება და ა.შ.

გაურკვეველია, თუ რატომ გახდა საჭირო მსგავსი კომპეტენციის სახელმწიფო უწყების შექმნა მაშინ, როდესაც უკვე არსებობდა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც შეიმუშავებდა რეკომენდაციებს, მათ შორის, რელიგიური გაერთიანებებისათვის ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა (მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“) და სხვადასხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სააგენტოს შექმნა შეიცავს გარკვეულ პრობლემებსა და საფრთხეებს, ვინაიდან არ გამართულა წინასწარი კონსულტაციები მსგავსი ინსტიტუტის შექმნის თაობაზე, იმავდროულად, რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევის რისკებს წარმოშობს ის ფაქტი, რომ სააგენტო არის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული

ცენტრალიზებული სახელმწიფო დაწესებულება და არა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი; ხოლო სააგენტოს შექმნის მიზნები, ისევე, როგორც მისი უფლებამოსილებები, სრულად არ ასახავს რელიგიის თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და სეკულარიზმის დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა მიმართეს პრემიერ-მინისტრს თხოვნით, რათა სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნა მაინც მომხდარიყო ღია და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, მათთან აქტიური კონსულტაციისა და კონსენსუსის გზით. თუმცა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება არ მომხდარა.

მიუხედავად სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებული სკეპტიკური განწყობისა და ამასთან დაკავშირებული საფრთხეებისა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ იმედოვნებს, რომ სააგენტო შეძლებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად შესრულებას და უზრუნველყოფს რელიგიის პოლიტიკის იმდაგვარად გატარებას, რომ მოხდეს როგორც კონსტიტუციით განმტკიცებული რელიგიური ნეიტრალიტეტის, ასევე რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა ყველა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებაში.

მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში

პატიმართა უფლებები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

სასჯელაღსრულების სისტემა წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სფეროს წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მიუხედავად 2012 წლის სექტემბრის შემდგომ განხორციელებული რადიკალური ცვლილებებისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ ხშირია ადამიანის უფლებების დარღვევა. საანგარიშო პერიოდში გახმაურდა პატიმრების მიმართ არაერთი არასათანადო მოპყრობის შემთხვევა.

საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემთხვევების მომრავლება მიუთითებს სასჯელაღსრულებაში არსებულ სისტემურ პრობლემაზე პატიმართა უსაფრთხოების კუთხით, რომელიც, თავის მხრივ, მიანიშნებს სახელმწიფოს მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების და მსგავს შემთხვევათა მიმართ დროული და ეფექტური რეაგირების აუცილებლობაზე. პატიმრებს შორის ძალადობის შემთხვევებმა რეგულარული და სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც უკავშირდება სასჯელაღსრულების დაწესებულებების ე.წ. მაყურებლების მეშვეობით მართვის მანკიერ პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით საგანგაშო ხდება მაშინ, როდესაც ციხის ადმინისტრაცია ე.წ. მაყურებლებს ურჩი პატიმრების დასამორჩილებლად ან პატიმრების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე ჩივილის აღსაკვეთად იყენებს. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ

შორის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მიუთითებენ აღნიშნული პრობლემის სიმწვავეზე.

კვლავ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის საკითხი. როგორც სახალხო დამცველმაც მიუთითა თავის 2013 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში, წამების ან არაადამიანური მოპყრობის მუხლებით კვალიფიცირდება მხოლოდ ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში. უკანასკნელ დროს ჩადენილი დანაშაულები კი ძირითადად სხეულის დაზიანებად ან სამოხელეო დანაშაულად არის კვალიფიცირებული.
გამოძიებას კვლავ არ აწარმოებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო. ხშირად გამოძიება სამსახურებრივი მოკვლევით შემოიფარგლება, თუმცა იმ შემთხვევებშიც, როდესაც გამოძიება იწყება, მას აწარმოებს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. მართალია, "პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს პროკურატურის ზედამხედველობას გამოძიებაზე, თუმცა ძირითადი დატვირთვა, პრაქტიკული თვალსაზრისით, მაინც აქვს გამომძიებელს, რომელიც იმავე უწყების წარმომადგენელია და რომელსაც უშუალოდ მიუწვდება ხელი მტკიცებულებებსა და მოწმეებზე. შესაბამისად, იმავე უწყების ფარგლებში წარმოებული გამოძიება არ შეიძლება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად იქნეს მიჩნეული.
ჯანმრთელობის დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში უწინდებურად პრობლემურია, მიუხედავად პატიმრების რაოდენობის განახევრებისა და სამედიცინო დანიშნულების ბიუჯეტის გაზრდისა, რამაც, რასაკვირველია, გამოიწვია პრაქტიკული გაუმჯობესება სამედიცინო მომსახურებაში, მათ შორის, სამოქალაქო საავადმყოფოებში გადაყვანის გახშირება. ერთ-ერთ უმწვავეს საკითხს კვლავ წარმოადგენს ფსიქიატრიული მომსახურება, რაც სუიციდის და სუიციდის მცდელობების გაზრდილი რიცხვითაც დასტურდება.
2013 წლის 23 მაისს გეგუთის N14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი ლ.კორტავა. პროკურატურამ აღნიშნული საქმე გამოიძია და რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები, დააკავა, თუმცა გეგუთის ციხის ყოფილ დირექტორს მალხაზ სინაურიძეს, რომელსაც ბრალად ედებოდა დანაშაულის შეუტყობინებლობა, სასამართლომ გირაო შეუფარდა, და არსებობს ინფორმაცია, რომ მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. 2013 წლის ოქტომბერში ქუთაისის N2 საპყრობილეში გარდაიცვალა კიდევ ერთი პატიმარი, 16 წლის გ. ძველაია, რომელიც ამ დაწესებულებაში ერთი დღის მიყვანილი იყო. ოფიციალური ვერსიით, გ.ძველაიამ თავი მოიკლა. აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული გამოძიების შედეგები უცნობია.

გავრცელებული ინფორმაციით, გეგუთის N14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ძალადობრივი სიკვდილის ფაქტი დაფიქსირდა 2014 წლის 4 მარტს. მსჯავრდებული გ. ფარტენაძე პატიმრებს შორის ფიზიკური დაპირისპირების დროს მიყენებული მძიმე ტრავმის შედეგად გარდაიცვალა. ოჯახის თქმით, გ.ფარტენაძე იყო ნაწამები და აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანება. 2014 წლის 26 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ

გავრცელებული განცხადების თანახმად, პროკურატურამ გ. ფარტენაძის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით, რასაც მისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, სამი მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.
გეგუთის N14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2014 წლის 23 მარტს გარდაიცვალა კიდევ ერთი პატიმარი. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც და პროკურატურას ეფექტიანი გამოძიებისაკენ მოუწოდეს.
კიდევ ერთი მსჯავრდებული გარდაიცვალა 2014 წლის 29 ივნისს რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, პატიმრის გარდაცვალება ძალადობას არ გამოუწვევია.
განსაკუთრებული პრობლემურობით გამოირჩევა N7 სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელშიც განთავსებულები არიან კრიმინალური ავტორიტეტები და სხვა მაღალი რისკის მქონე პატიმრები. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ პერიოდში ეს დაწესებულება, რომლის ინფრასტრუქტურაც აბსოლუტურად არაადაპტირებულია პატიმართა ხანგრძლივი განთავსებისთვის, გამოიყენება, როგორც სადამსჯელო ციხე, სადაც გადაჰყავთ ურჩი, პრობლემური ან ის პატიმრები, რომლებიც უჩივიან ციხის ადმინისტრაციას.

ცვლილებები პატიმრობის კოდექსში

2014 წლის 3 მაისიდან ამოქმედდა პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა ახალ საცხოვრებელ პირობებს, ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების წესებს. ცვლილებებით ასევე გაფართოვდა გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების ჩამონათვალი.
ცვლილებები განხორციელდა მსჯავრდებულთა შეწყალების რეგულაციებშიც. საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის ბრძანებულებით შეწყალების მექანიზმში შევიდა გარკვეული ცვლილებები, მაგალითად, ნაცვლად 25 წლისა, უვადო მსჯავრდებულებს უკვე 15 წლის გასვლის შემდეგ შეეძლებათ მიმართონ კომისიას შეწყალების თხოვნით.

როგორც აღინიშნა, მიღებულ ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სპეციალური საშუალებებია. ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით კოდექსის 57-ე მუხლით დასაშვები იყო მხოლოდ რამდენიმე საშუალების – ხელბორკილის, დამაწყნარებელი პერანგის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. ცვლილებებით კი ამ ჩამონათვალს დაემატა საკმაოდ ვრცელი სია. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 57[1] მუხლის თანახმად, სპეციალური საშუალებების ჩამონათვალს ემატება: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი,

აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.

განსაკუთრებით ყურადსაღებია სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები. მნიშვნელოვანია, სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები მკაფიოდ და ცალსახად იყოს გაწერილი, რათა მათი გამოყენებისთვის უფლებამოსილ პირებს არ მიეცეთ თვითნებობისა და აღჭურვილობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა პატიმართა უფლებების უხეში დარღვევა და მათდამი არასათანადო მოპყრობა გამოიწვიოს[85]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალი რეგულაციის ამოქმედების პარალელურად, მოხდეს იმ თანამშრომელთა პროფესიული მომზადება, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან, გამოიყენონ სპეციალური საშუალებები. კოდექსის 57-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, "უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელების შემდეგ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელობა იმავე დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან ერთად ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ უტარებს სამედიცინო შემოწმებას. [...]". აღნიშნული დისპოზიცია უხეშად არღვევს საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს - დაწესებულების ხელმძღვანელობას არათუ არ აქვს უფლება, ჩაატაროს სამედიცინო შემოწმება, არამედ იგი არ უნდა ესწრებოდეს სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარებულ შემოწმებასაც კი.

კოდექსის ცვლილებების თანახმად, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის მიხედვით შეიქმნა ორი ახალი ტიპის დაწესებულება: დაბალი რისკის (VIII[1] თავი) და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები (X[1] თავი). მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასება და მათი განაწილება ამა თუ იმ დაწესებულებაში, კოდექსის მიხედვით, უნდა მოხდეს მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, მათ შორის, ჩადენილი დანაშაულის მოტივის, პიროვნული თვისებების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასება უნდა განახორციელოს მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობა და უფლებამოსილება განსაზღვრული იქნება სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

მისასალმებელია შედარებით ლიბერალური რეჟიმის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შექმნა, თუმცა გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს ამგვარ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისთვის სწავლის ან მუშაობის, ასევე,

[85] 2014 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრმა გამოსცა N245 ბრძანება "პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე", რომელიც შეიცავს გარკვეულ დაზუსტებებს სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი, რაც შესაძლოა მსჯავრდებულთა დისკრიმინაციის წყარო გახდეს.

ასევე საყურადღებოა, რომ დაბალი რისკის დაწესებულებების საპირისპიროდ, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები არ სარგებლობენ შრომის უფლებით, მაშინ, როცა ამ დაწესებულებებში განთავსებულ პირებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს კოდექსში სასჯელაღსრულების სისტემის მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების გაწერა[86] და სახელმწიფოს მიერ მათი სოციალური დაცვის ვალდებულების აღება[87].

ასევე მისასალმებელია იმ პირთა ჩამონათვალის გაზრდა, რომლებთანაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ხანმოკლე პაემნის უფლება[88].

[86] პატიმრობის კოდექსი, თავი II[2]
[87] იქვე, მუხლი 12[9]
[88] იქვე, მე-17 მუხლის მეორე ნაწილი